ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: 17-01192381422
თარიღი: 26/08/2019
პინი: 4553

ადრესატი: შპს კომფორტ პლიუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404510579
მისამართი: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, გორკის ქ., № 16

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

თქვენი N19/0119065218-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ტრიკოტაჟის ქ. N3-ში (საკ. კოდი N01.12.12.001.092) 2017 წლის 10 ნოემბრის N3670237 (AR155406) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

„5-1“ ფასადზე: „1-1“ ღერძთან, აივნებზე დამატებულია კედლები. „5-4“ მონაკვეთში ამოშენებულია აივნების ნაწილი.

„1-5“ ფასადზე: „1-2„“ მონაკვეთში ამოშენებულია აივნების ნაწილი. „3-4“ მონაკვეთში შიდა ფართის შემცირების ხარჯზე გაზრდილია აივნების ფართი. „5-5“ ღერძთან დამატებით ფიქსირდება ხვრელები. „2-3“ მონაკვეთში კედლების ნაცვლად მოწყობილია ლითონის ჟალუზები.

„ა-ლ“ ფასადზე: „ზ-ზ“ ღერძთან შემცირებულია კედლების სიგანე და დამატებულია ხვრელები.

„ლ-ა“ ფასადზე: „კ-კ“ ღერძთან შემცირებულია კედლების სიგანე და დამატებულია ხვრელები. „ი-თ“ მონაკვეთში შეცვლილია სადარბაზოს გისოსების მოწყობა. „თ-თ“ ღერძთან, აივნებზე დამატებულია კედლები.

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. აივნებზე დამატებულია წყალსაწრეტი მილები და ამოშენებულია გვერდითა კედლებზე საპროექტო კარები. შეცვლილია შენობის მდებარეობა. შეცვლილია სადარბაზოების გაბარიტები და შემცირებულია შიდა კიბის საფეხურების სიგანე. კიბის უჯრედში დამატებულია რიგელები. ასევე შეცვლილია მონოლითური კედლების გაბარიტები. -2,90 ნიშნულზე, „ა-დ“ მონაკვეთში გაზრდილია შენობის სიგანე 3,2 მ-ით, რითიც გაზრდილია ფართი დაახლოვებით 53 კვ.მ-ით. გაუქმებულია მარჯვენა ლიფტის ჩამოსვლა, ხოლო მარცხენა ლიფტის ჩამოსვლა დამატებულია და შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. „გ-დ“ მონაკვეთში დამატებულია რიგელი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი